ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის №24.242305512 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა

სხდომის ოქმი N3

ზუგდიდი, 23 მარტი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი. სხდომის დაწყების დრო 16:00 საათი.

დღის წესრიგი

1. თამაზ ბუკია

- განსახილველად შემოგვაქვს კლდიაშვილის ქ. N18-ში მცხოვრები, თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის კურსდამთავრებულის თამაზ ბუკიას პ/ნ 62001044556 განცხადებები, (მერიაში რეგისტრაციის ნომერი 14/03/2023 N:19/242307366-04, 20/03/2023 N:19/2423079159-24). 2023 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 31 მარტამდე თამაზი გაივლის სტაჟირებას გერმანიაში პროფესიული უნარების, ცოდნის, უნარ-ჩვევების და პროფესიული გამოცდილების მისაღებად. თამაზი ითხოვს მგზავრობის დაფინანსებას (თბილისი-ვარშავა-მიუნხენი).

არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა (მუხლი N7).

2. ივიკო შენგელია

- განსახილველად შემოგვაქვს ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის და ერასმუს პროგრამის ფარგლებში ბრემენის უნივერსიტეტის სტუდენტის ივიკო შენგელიას პ/ნ 19001104093 განცხადებები, (მერიაში რეგისტრაციის ნომერი 13/01/2023 N:19/242301354-24, 22/03/2023 N:19/2423081138-24). 2023 წლის 1 აპრილიდან 30 სექტემბრამდე ივიკო ჩარიცხულია ბრემენის უნივერსიტეტში, როგორც გაცვლითი პროგრამის სტუდენტი. იგი ითხოვს ფინანსურ მხარდაჭერას.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა (მუხლი N6).

3. მეგი დარასელია

- განსახილველად შემოგვაქვს კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მეგი დარასელიას პ/ნ 19001102022 განცხადებები, (მერიაში რეგისტრაციის 21/03/2023 N:19/242308037-24, 23/03/2023

N:19/24230826-24), მეგი არის ზაფხულის სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. იგი ითხოვს ფინანსურ მხარადჭერას.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერა (მუხლი N6).

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მ/შ - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი-კომისიის წევრი;
- **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

პირველ საკითხად მოისმინეს: თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის კურსდამთავრებულის თამაზ ბუკიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო თამაზ ბუკიას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა, თამაზმა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- დიახ, როგორც მოვისმინე თამაზისგან სტაჟირება მისცემს მას შესაძლებლობას პროფესიოულად განვითარდეს და გამოადგეს ჩვენ ქვეყანას მომავალში და გაუზიაროს იქ მიღებული ცოდნა თანატოლებს. ვუსურვებ ბევრ წარმატებას. ჩვენ ფინანსურ ხელშეწყობას სიმბოლური დატვირთვა აქვს, ამ მცირედი ხელშეწყობით საკუთარი ქალაქი მუდამ უდგას გვერდში ახალგაზრდებს.

ზამირა ღადუა- თამაზი ძალიან მიზანდასახული და წარმატებული ახალგაზრდაა. მას ოქროს მედალზე აქვს სკოლა დამთვრებული და ბევრ სხვა აქტივობებში ღებულობდა მონაწილეობას. მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მეორე საკითხად მოისმინეს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის და ერასმუს პროგრამის ფარგლებში ბრემენის უნივერსიტეტის სტუდენტის ივიკო შენგელიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო ივიკო შენგელიას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა. ინტერვიუ, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე უცხოეთში სწავლასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ივიკოსთან წლებია ჩვენს კომისიას აქვს ურთიერთობა და ვაკვირდებით მის პროფესიულ ზრდას. ძალიან მიზანდასახული ახლაგაზრდაა. შესაძლებლობის ფარგლებში მერია ყოველთვის დაუდგება გვერდში.

გიგლა სულამანიძე- როგორც ბატონმა კონსტანტინემ განაცხადა ივიკოსთან ჩვენ დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს. ის წარმატებული და გამორჩეული ახაგაზრდაა. ივიკო კიდევ ერთხელ იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერას.

მესამე საკითხად მოისმინეს: ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მეგი დარასელიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო მეგი დარასელიას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- ვერ განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა, რადგან ის იმყოფებოდა ლექციაზე.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- კიდევ ერთი წარმატებული ახალგაზრდა ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მეგი დარასელიაა, მომავალი ჟურნალისტი. ბევრი წარმატება და პროფესიული ზრდა მინდა ვუსურვო მეგის.

ია ეხვაია- გავეცანი წარმოდგენილ განცხადებას, ის გამორჩეულად კარგი ახალგაზრდაა. ვუჭერ მხარს მის დაფინანსებას და კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებ.

მამუკა ბულია- დღევანდელ კომისიაზე განსახილველ განცხადებებს გავეცანი. ძალიან მიხარია ამდენი წარმატებული ახალგაზრდის ხილვა და მათი წარმატების გაზიარება. მე როგორც კომისიის წევრი, მაქვს შესაძლებლობა ასეთ წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსებას მხარი დავუჭირო.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, გაეწიოთ ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილ ახალგაზრდებს.

გადაწყვეტილება:

1. თამაზი ბუკიას გერმანიაში გასამგზავრებლად ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს -1141 (ათასასორმოცდერთი) ლარი. (არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსურ ხელშეწყობა **მუხლი N7)**

2. ივიკო შენგელიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს-1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. (ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა. **მუხლი N6)**
3. მეგი დარასელიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს -1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. (ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა. **მუხლი N6)**

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზამირა ღადუა

კომისიის წევრები:

კობა ჯიქია

ია ეხვაია

გიგლა სულამანიძე

მამუკა ბულია

მონიკა შამათავა

ნინო სიჭინავა

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა